

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოსა და აზერბაიჯანში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება - მცირე და საშუალო საწარმოების როლი

ცირკულარული ეკონომიკა წარმოებისა და მოხმარების მოდელია, რომელიც არსებული მასალებისა და საქონლის საზიარო სარგებლობას, იჯარას, მრავალჯერად გამოყენებას, შეკეთებას, სრულად განახლებას და გადამუშავებას ითვალისწინებს. ამ გზით საქონლის სასიცოცხლო ციკლი ხანგრძლივდება. არსებითად, ეს ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას გულისხმობს. ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელიც ბიზნესისთვის, საზოგადოებისათვის და გარემოსთვის სარგებლის მოტანას მოიაზრებს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადაადე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანი სასრული რესურსების მოხმარებაზე დამოკიდებულებისაგან თანდათანობით განთავისუფლებაა. ცირკულარული განვითარება სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პასუხისმგებლიანი წარმოება-მოხმარების მოდელია, რომელიც ცირკულარული მოდელის საფუძველზე მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. აღნიშნულის მიზანია ქვეყნები და მთლიანად საზოგადოება გახდეს უფრო ავტონომიური, მდგრადი და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხთან ჰარმონიაში მოვიდეს.

სხვა სისტემური ცვლილებების მსგავსად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. ამისათვის დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნესექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მომხმარებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (მსს) ცირკულარული ბიზნესების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ცირკულარული ბიზნესმოდელებისა და პროექტების განსაზღვრა, სწორი კონცეპტუალური დამუშავება და განვითარება, რომლებიც დასაბუთებულია და ინვესტიციებისათვის მიმზიდველია, ამასთან შესაბამისობაშია განვითარების გრძელვადიან ხედვასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიასთან. ასეთ საწარმოებს, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შესაძლებლობის გამოვლენა და ცირკულარული იდეების ატაცება დიდ ბიზნესებზე სწრაფად შეუძლიათ. მსს-ები მსხვილი ბიზნესის მიწოდების ჯაჭვის ბირთვის წარმოადგენს და მათ შეუძლიათ ცირკულარობის პრინციპები სწრაფად დანერგონ, რათა ცირკულარული ბიზნესმოდელები საუკეთესო ვარიანტად იქცეს კომპანიებისათვის, რომლებიც მზად არიან კონკურენტული უპირატესობა იმგვარად მოიპოვონ და თავიანთი ბაზარი ისე შეინარჩუნონ, რომ მათი მიზნები საზოგადოებრივ მიზნებთან თანხვედრაში იყოს.

ცირკულარული ეკონომიკა მსს-ებისთვის უაღრესად შესაფერისი კონცეფციაა. არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები დეფიციტური მეტწილად იმიტომ ხდება, რომ დედამიწის მოსახლეობა იმატებს, განვითარებადი ქვეყნების სიმდიდრე იზრდება და ასეთი რესურსების მსოფლიო მარაგები სწრაფად მცირდება. აღნიშნული ფასების ზრდას და ფასის მეტ ცვალებადობას იწვევს.

ამიტომაც ბიზნესები, მათ შორის მსს-ები, იძულებულნი არიან ეს რესურსები უფრო ეფექტიანად გამოიყენონ. გლობალიზაციასთან, ციფრულ კავშირთან, სწრაფ მოხმარებასთან და არათანაზომიერ კეთილდღეობასთან ერთად ეკოლოგია უარესდება, მდგრადობის გლობალური მართვა არ ხდება და რესურსების სიმწირეს აქვს ადგილი, რასაც ბიზნესების სათამაშო მოედნის გარდაქმნამდე მივყავართ. შედეგად, დღეს გლობალური ბიზნესგარემო უფრო რთული, ბუნდოვანი, ცვალებადი და დინამიკურია, ვიდრე ოდესმე. ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია ბიზნესს, კერძოდ კი მსს-ებს რესურსეფექტიანობის გაზრდის სტიმულს აძლევს. ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და მიდგომების დანერგვით მეწარმეებს სხვადასხვა ბიზნესსარგებლის მიღება შეუძლიათ. ეს სარგებელი დამოკიდებულია განხორციელებულ სტრატეგიაზე, ბიზნესპროცესების ცირკულარობის ხარისხზე, კომპანიის სამუშაო გარემოზე და ღირებულების ჯაჭვში კომპანიის როლზე.

მიმდინარე პროგრამა, რომელსაც შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს, ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის რეკომენდაციების მიწოდებას ისახავს მიზნად. ამ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მე-7 კონფერენცია, რომელიც 2022 წლის 10 მაისს თბილისში გაიმართება, ითვალისწინებს რეკომენდაციების მიცემას საქართველოსა და აზერბაიჯანის მსს-ებისთვის, თუ მიმდინარე საქმიანობაში და სამომავლო განვითარების გეგმებში ცირკულარობის პრინციპების გათვალისწინება როგორ შეუძლიათ.